12 დღის ჩვილი საავადმყოფოში დამწვრობით გარდაიცვალა
პარასკევი, 19 ივლისი 2013 20:33

ჩინეთში 12 დღის ჩვილი დამწვრობით გარდაიცვალა.
იმის გამო, რომ ჩვილი გაციებული იყო, ექიმებმა იგი ინკუბატორში მოათავსეს. რადგანაც ინკუბატორის ტემპერატურა მეტისმეტად მაღალი იყო, ჩვილი დაიწვა. როდესაც საავადმყოფოს თანამშრომლებმა ინკუბატორში დამწვარი ჩვილი ნახეს, მას სურათები გადაუღეს და ჩინურ სოციალურ ქსელში VEIBO გააზიარეს, ამან კი მნახველები შოკში ჩააგდო. პატარა ბავშვის ზურგი და მსხვილი ფეხები დამწვრობისგან მუქი ყავისფერი მიიღო.
ჩინეთის გუანსზოუს ბავშვთა საავადმყოფოს ექიმებმა და მედდებმა ჩვილის გარდაცვალების გამო პასუხისმგებლობას თავი აარიდეს და ამის შესახებ მედიასთვის ინფორმაციის მიცემაზე უარი განაცხადეს.

1 / 1